



ფინანსური აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„პაემტკიცებ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირთავა

29 აგვისტო 2019 წელი

N 47/36

ვგზ.: N 1

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული
საბიუჯეტო ორგანიზაციების 2018 წლის 31
დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	2
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	3
	დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე	4
	1. პირობითი მოსაზრების საფუძველი	5
	2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	10
დანართები	3. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა	19
	ფინანსური ანგარიშგების ფორმები	22
	საკონტაქტო ინფორმაცია	23

ტერმინები და შემოკლებები

ა(ა)იპ – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი;

განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო;

გზების დეპარტამენტი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – საავტომობილო გზების დეპარტამენტი;

მთავრობა – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა;

სამინისტრო – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტრო;

სოფლის მეურნეობის სამინისტრო – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

სსიპ – საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი;

უმაღლესი საარჩევნო კომისია – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია;

უმაღლესი საბჭო – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო;

ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო;

შპს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ფინანსდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ და სახელმწიფოს მიერ კანონით დელეგირებულ უფლებამოსილებებს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებული უფლებამოსილებებია:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების მიღება;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის განსაზღვრა;

გ) საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პოლიტიკის განსაზღვრა და განხორციელება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის კანონის მიღება და მისი შესრულების კონტროლი;

დ) საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვა და განკარგვა;

ე) საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული მიწის, ტყისა და წყლის რესურსების მართვა და განკარგვა;

ვ) საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და განვითარება;

ზ) ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების და სხვა ინფრასტრუქტურის მართვა;

თ) ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საგანმანათლებლო, სამეცნიერო, შემოქმედებითი და სპორტული დაწესებულებების შექმნა, მართვა და მხარდაჭერა;

ი) საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო წოდებების დადგენა და მინიჭება;

კ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სამსახურის მართვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, საქართველოს კანონით დადგენილ ფარგლებში, სარგებლობს ფინანსური ავტონომიით.

ცხრილი N1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების 2018 წლის ბიუჯეტის შესრულება

მუხლის დასახელება	დამტკიცებული	დაზუსტებული	საკასო ხარჯი	სხვაობა	შესრულება %
სულ:	375,521,472	375,521,472	344,398,930	31,122,542	91.7%
ხარჯები	196,247,230	195,501,443	180,766,353	14,735,090	92.5%
შრომის ანაზღაურება	37,252,559	37,004,064	36,042,936	961,129	97.4%
საქონელი და მომსახურება	40,724,742	41,820,109	38,453,957	3,366,152	92.0%
პროცენტი	356,853	366,382	327,194	39,188	89.3%
სუბსიდიები	4,014,822	4,727,511	4,558,525	168,986	96.4%
გრანტები	82,695,722	88,553,302	80,242,992	8,310,310	90.6%
სოციალური უზრუნველყოფა	10,503,305	11,005,525	10,957,789	47,736	99.6%
სხვა ხარჯები	20,699,227	12,024,550	10,182,960	1,841,590	84.7%
არაფინანსური აქტივების ზრდა	103,195,934	104,150,908	89,949,409	14,201,499	86.4%
ფინანსური აქტივების ზრდა	74,017,600	74,017,600	72,367,600	1,650,000	97.8%
ვალდებულებების კლება	2,060,708	1,851,521	1,315,568	535,953	71.1%

დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ კონსოლიდირებულ დანართებს¹ მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლების აბზაცში აღწერილი საკითხების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად.

¹ „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანებით განსაზღვრული დანართები.

1. პირობითი მოსაზრების საფუძველი

1.1 არაფინანსური აქტივები

1.1.1 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

საკუთრებაში არსებული არაფინანსური აქტივები

მოქმედი კანონმდებლობით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვას და განკარგვას, დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში, ახორციელებს ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.² აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში, სამინისტროს ბალანსზე ირიცხება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოებში არსებული აქციების და კაპიტალის ღირებულება, თუმცა არ არის აღრიცხული არაფინანსური აქტივები და მათი ღირებულება. სამინისტროს უფლებამოსილი პირის განმარტებით, სამინისტროს ბალანსზე არ აქვს აღრიცხული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ის არაფინანსური აქტივები, რომლის განკარგვას/სარგებლობის უფლებით გადაცემასაც ახორციელებს. არსებული პრაქტიკით, ქონების საბიუჯეტო ორგანიზაციის ბალანსზე აღრიცხვა ხდება მხოლოდ პირველადი გადაცემის შემდეგ, ქონების მიმღების მიერ.³ მოქმედი რეგულაციებით, არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის აღრიცხვაში ასახვის დრო დგება მაშინ, როდესაც ხდება არაფინანსურ აქტივებზე საკუთრების უფლების მოპოვება ან დათმობა.⁴ ვინაიდან ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო წარმოადგენს არაფინანსური აქტივების მესაკუთრის – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილების განმახორციელებელ კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოს, სამინისტრო ვალდებული იყო შესაბამის პერიოდში ბუღალტრულად აღერიცხა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული არაფინანსური აქტივებით განხორციელებული ყველა ოპერაცია. მათ შორის, ქონების საკუთრებაში მიღება, პრივატიზება, სარგებლობაში გადაცემა და სხვ. ზემოაღნიშნული ოპერაციების აღურიცხაობის გამო, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითად უზუსტოდაა წარმოდგენილი ძირითადი აქტივების და არაწარმოებული აქტივების (მიწის) ღირებულების ნაშთები როგორც წლის დასაწყისისთვის, ისე წლის ბოლოსთვის.

1.1.2 ძირითადი აქტივები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ძირითადი აქტივების ანგარიშზე ნაშთი არანაკლებ 681,972 ლარით უზუსტოდ, გაზრდილად არის წარმოდგენილი, რაც გამოწვეულია საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აღრიცხვისას დაშვებული შეცდომებით და ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმების არასწორი გამოყენებით ან/და ცვეთის დაურიცხველობით⁵. კერძოდ:

- გზების დეპარტამენტს ცვეთის ნორმების არასწორი გაანგარიშების, ასევე არამატერიალურ აქტივზე ცვეთის დაურიცხაობის გამო, ძირითადი აქტივების ანგარიში 497,818 ლარით გაზრდილად აქვს წარმოდგენილი, ხოლო

² „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-3 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები.

³ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, უძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემა საჯარო რეესტრში უნდა დაარეგისტრირდეს ქონების სარგებლობაში მიმღებმა.

⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტი.

⁵ გადაანგარიშებულია ძირითადი აქტივის აღიარების თარიღიდან.

ბალანსგარეშე 08 ანგარიში – „ამორტიზებული ძირითადი აქტივები“, 6,184 ლარით შემცირებულად აქვს წარმოდგენილი;

- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს, ცვეთის გაანგარიშებისას დაშვებული შეცდომების გამო, ძირითადი აქტივების ანგარიში 76,018 ლარით გაზრდილად აქვს წარმოდგენილი;

- სსიპ – აჭარის სატყეო სააგენტოს ბალანსზე ირიცხება 60,185 ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულების შენობა-ნაგებობა, რომელიც ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაა და დადგენილი ფორმით არ არის გადაცემული სააგენტოსთვის;

- ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტს, ცვეთის გაანგარიშებისას დაშვებული შეცდომების გამო, ძირითადი აქტივების ანგარიში 11,314 ლარით შემცირებულად აქვს წარმოდგენილი;

- ა(ა)იპ – ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს, ცვეთის გაანგარიშებისას დაშვებული შეცდომების გამო, ძირითადი აქტივების ანგარიში 106,948 ლარით შემცირებულად აქვს წარმოდგენილი;

- სსიპ – ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრს, არამატერიალურ აქტივებზე ცვეთის დაურიცხაობის გამო, ძირითადი აქტივების ღირებულება 45,786 ლარით გაზრდილად აქვს წარმოდგენილი;

- ა(ა)იპ – ქ. ბათუმის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის კლასიკური ბალეტის სკოლას ძირითადი აქტივების ანგარიში 9,035 ლარით გაზრდილად აქვს წარმოდგენილი, რაც გამოწვეულია ცვეთის დარიცხვის არასწორი მეთოდის გამოყენებით,⁶ ასევე ბალანსგარეშე 08 ანგარიში – „ამორტიზებული ძირითადი აქტივები“, 2,950 ლარით შემცირებულად აქვს წარმოდგენილი;

- სსიპ – ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრს, 500 ლარზე ნაკლები ღირებულების სხვადასხვა მატერიალური ფასეულობა, ჯამში 20,875 ლარის ღირებულების, ნაცვლად მცირეფასიანი აქტივებისა, აღრიცხული აქვს ძირითადი აქტივების ანგარიშზე. ასევე ცვეთის არასწორი გაანგარიშების გამო, ძირითადი აქტივების ნაშთი 53,902 ლარით გაზრდილად, ხოლო ბალანსგარეშე 08 ანგარიში – „ამორტიზებული ძირითადი აქტივები“, 10,221 ლარით შემცირებულად აქვს წარმოდგენილი;

- განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში შემავალ სხვადასხვა ორგანიზაციას, ასევე ცვეთის გაანგარიშებისას დაშვებული შეცდომების გამო, ძირითადი აქტივების ანგარიში ჯამში 36,615 ლარით გაზრდილად აქვთ წარმოდგენილი,⁷ ხოლო ბალანსგარეშე 08 ანგარიში – „ამორტიზებული ძირითადი აქტივები“, 9,122 ლარით შემცირებულად აქვთ წარმოდგენილი.⁸

1.1.3 ინვენტარიზაცია

ორგანიზაციებში ვლინდება აქტივების მართვასთან დაკავშირებული ხარვეზები, რაც გამოწვეულია იმით, რომ ინვენტარიზაცია ან საერთოდ არ ჩატარებულა, ან/და არასრულყოფილად ჩატარდა, რაც წარმოშობს

⁶ გამოყენებული იყო ცვეთის დარიცხვა კლებადი ნაშთის მეთოდით, ნაცვლად – წრფივი მეთოდისა.

⁷ ა(ა)იპ – ქ. ბათუმის საჩოგბურთო კომპლექსი – 31,579 ლარით გაზრდილად, ა(ა)იპ – ქ. ბათუმის სასპორტო სკოლა – 5,386 ლარით გაზრდილად, სსიპ – აჭარის მუზეუმი – 9,124 ლარით შემცირებულად, შუახვევის რესურსცენტრი – 4,000 ლარით გაზრდილად, ქედის რესურსცენტრი – 1,133 ლარით გაზრდილად, ა(ა)იპ – განათლების ფონდი – 1,219 ლარით გაზრდილად, სსიპ – აჭარის ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „ხორუმი“ – 1,657 ლარით გაზრდილად, ა(ა)იპ – ქ. ბათუმის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე – 765 ლარით გაზრდილად.

⁸ ა(ა)იპ – ქ. ბათუმის საჩოგბურთო კომპლექსი – 2,186 ლარით შემცირებულად, ა(ა)იპ – ქ. ბათუმის სასპორტო სკოლა – 5,000 ლარით შემცირებულად, სსიპ – აჭარის მუზეუმი – 1,026 ლარით შემცირებულად, ქედის რესურსცენტრი – 910 ლარით შემცირებულად.

ორგანიზაციების აქტივების და ვალდებულებების უზუსტოდ აღრიცხვის რისკებს. კერძოდ:

- სსიპ – აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატას 2018 წელს ბალანსზე რიცხული ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია ჩატარებული არ აქვს;⁹
- რიგ ორგანიზაციებში¹⁰ საინვენტარიზაციო კომისიის წევრი იმავდროულად არის მატერიალურად პასუხისმგებელი პირი;¹¹
- გამოვლენილია შემთხვევები, როდესაც ქონებას საინვენტარო ნომრები არ აქვს მინიჭებული¹² ან ბუღალტრულად მინიჭებული ნომრები არ არსებობს,¹³ ან/და ორ სხვადასხვა ტექნიკას ერთი და იგივე ნომერი აქვს.¹⁴ ასევე, რიგ შემთხვევაში, არ არის მითითებული ბრენდი და მოდელი.¹⁵ მიუხედავად იმისა, რომ შერჩევითი ინვენტარიზაციის შედეგად, ორი შემთხვევის¹⁶ გარდა, დანაკლისი არ გამოვლენილა, ზემოაღნიშნული შიდა კონტროლის სისტემის არსებით სისუსტეზე მიუთითებს.

ცხრილი N2. ინფორმაცია ბალანსზე რიცხული არაფინანსური აქტივების შესახებ

მხარჯავი დაწესებულება	საბალ. ღირებ-ბა 01/01/2018	საბალ. ღირებ-ბა 31/12/2018
სულ:	566,816,955	664,430,234
უმაღლესი საბჭო	2,815,572	2,780,367
უმაღლესი საარჩევნო კომისია	101,025	89,071
მთავრობა და მთავრობასთან არსებული ორგანიზაციები	163,273,515	197,695,673
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	297,944,742	340,396,318
განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	81,604,973	97,936,082
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	1,478,642	1,595,366
სოფლის მეურნეობის სამინისტრო	19,598,486	23,937,358

1.2 მოთხოვნები

1.2.1 მოთხოვნები

დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთ (კონსოლიდირებულ) ფინანსურ ანგარიშგებაში მოთხოვნების ნაშთი, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენს 212,417,223 ლარს. მოპოვებული მტკიცებულებებით ირკვევა, რომ ნაშთი 112,767,397 ლარით უზუსტოდ, შემცირებულად არის წარმოდგენილი, რაც გამოწვეულია შემდეგ გარემოებათა გამო:

- მოქმედი კანონმდებლობით,¹⁷ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების განკარგვის სარგებლობის/მართვის უფლებით გადაცემას დადგენილი

⁹ დარღვეულია საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ 1-ლი მუხლის მე-4 პუნქტი.

¹⁰ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო, სსიპ – აჭარის სატყეო სააგენტო.

¹¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მე-10 პუნქტი.

¹² გზების დეპარტამენტი, სსიპ – ბათუმის ბულვარი, ა(ა)იპ – ქ. ბათუმის სასპორტო სკოლა, სსიპ – ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი, სსიპ – აჭარის ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „ხორუმი“.

¹³ ბათუმის მუსიკალური ცენტრი.

¹⁴ გარემოს დაცვის სამმართველო, ა(ა)იპ – ქ. ბათუმის სასპორტო სკოლა.

¹⁵ სსიპ – ბათუმის ბულვარი, გარემოს დაცვის სამმართველო.

¹⁶ ა(ა)იპ – ბათუმის ბიზნეს ინკუბატორში გამოვლინდა ნულოვანი საბალანსო ღირებულების მქონე ერთი ერთეული კომპიუტერული ტექნიკის დანაკლისი; სსიპ – აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატაში გამოვლინდა 265 ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულების, 11 ერთეული მობილური ტელეფონის დანაკლისი.

¹⁷ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-3 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები.

უფლებამოსილების ფარგლებში, ახორციელებს ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო. აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში, სამინისტროს მიერ განხორციელებულია სხვადასხვა უძრავი/მოძრავი ქონების პრივატიზება და სარგებლობაში გადაცემა, ასევე წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მართვაში გადაცემა. აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში, სამინისტროს ხელშემკვრელი პირების მხრიდან ვალდებულებათა დროულად და ჯეროვნად შეუსრულებლობის გამო დარიცხული პირგასამტეხლო, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენს 112,811,258 ლარს, რაც არ არის აღრიცხული ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში. სამინისტროს უფლებამოსილი პირის განმარტებით, სამინისტროს ბალანსზე არ აქვს აღრიცხული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ის არაფინანსური აქტივები, რომელთა განკარგვას/ სარგებლობის უფლებით გადაცემასაც ახორციელებს. აღნიშნულის გამო, სამინისტრო არ აღრიცხავდა როგორც ქონების განკარგვიდან მიღებულ შემოსავლებს, ასევე ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დარიცხულ პირგასამტეხლოებს. რადგან ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო წარმოადგენს არაფინანსური აქტივების მესაკუთრის უფლებამოსილების განმახორციელებელ სახელმწიფო ორგანოს, სამინისტრო ვალდებულია ბუღალტრულად აღრიცხოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ყველა ქონება, რომელიც არ არის გადაცემული სარგებლობაში და მასთან დაკავშირებული მოთხოვნები და ვალდებულებები.

- განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ანგარიში – „მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით“, წარმოდგენილი აქვს გაზრდილად – 39,734 ლარით, რაც გამოწვეულია შემდეგით: სამინისტროს ცენტრალურ აპარატს გაზრდილად აქვს აღრიცხული მოთხოვნები ღირებულებით 42,451 ლარი. ასევე, სამინისტროს სისტემაში შემავალ რამდენიმე ორგანიზაციას არ აქვს აღრიცხული ხელშეკრულების პირობების დაგვიანებით შესრულების გამო დარიცხული პირგასამტეხლოს თანხა, ჯამში 2,717 ლარი.
- სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში 28,139 ლარის მოცულობის მოთხოვნა ნაცვლად საბალანსე ანგარიშისა – „მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით“, აღრიცხული აქვს საცნობარო მუხლში – „პირობითი აქტივები“.
- გზების დეპარტამენტს 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ანგარიში – „მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით“ წარმოდგენილი აქვს შემცირებულად 7,685 ლარით. აღნიშნული გამოწვეულია 2018 წლის 21 თებერვალს შპს „ორბიტასთან“ გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების¹⁸ ფარგლებში დარიცხული პირგასამტეხლოს აღრიცხვებლობით, რაც ბუღალტრულ აღრიცხვაში დაშვებული შეცდომის შედეგია.

¹⁸ ხელშეკრულება N72, 21/02/2018.

1.2.2 მოთხოვნები წინასწარი გადახდებით

განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, ანგარიში – „მოთხოვნები წინასწარი გადახდებით“, 15,000 ლარით გაზრდილად აქვს წარმოდგენილი. კერძოდ, სამინისტროს ცენტრალურ აპარატს ბალანსიდან არ აქვს მოხსნილი 2017 წლის ბოლოს წარმოშობილი მოთხოვნა წინასწარი გადახდებით, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად დაფარულია¹⁹ და მოთხოვნის საფუძველი არ არსებობს. ზემოაღნიშნული გამოწვეულია სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებს შორის კოორდინაციის ნაკლებობით.

1.2.3 მოთხოვნები ფულად სახსრებზე – აქტივების/მომსახურების მიწოდებით

სსიპ – ბათუმის ბულვარს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „მოთხოვნები ფულად სახსრებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით“ ერიცხება ნაშთი 155,124 ლარის ოდენობით, საიდანაც 24,951 ლარის ღირებულების მოთხოვნებზე დავალიანების დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი. ასევე ვერ გაიგზავნა გარე დასტურის წერილები, რადგან ვერ იქნა მოწოდებული დებიტორი ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო მონაცემები, მათ შორის, საიდენტიფიკაციო კოდი, მისამართი, ტელეფონის ნომერი და ა. შ. ზემოაღნიშნული მოთხოვნები, ა(ა)იპ – ქ. ბათუმის პარკებისა და სკვერების გაერთიანების ლიკვიდაციის შემდეგ, ქალაქ ბათუმის მერის ბრძანებით,²⁰ გადაეცა სსიპ – ბათუმის ბულვარს, თუმცა ამ უკანასკნელს დავალიანების ამოღებაზე ეფექტიანი რეაგირება არ განუხორციელებია.

აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციებში წლების განმავლობაში არ ტარდება მოთხოვნების ინვენტარიზაცია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.²¹ აღნიშნულიდან გამომდინარე, დებიტორ ორგანიზაციებთან არ გაფორმებულა ურთიერთშედარების აქტები და არ გატარებულა ღონისძიებები 2018 წლამდე წარმოშობილი დავალიანებების ამოღებასთან დაკავშირებით.²²

1.3 ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთა

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგენილ კონსოლიდირებულ (ნაერთ) ფინანსურ ანგარიშგებაში, ძირითადი კაპიტალის მოხმარების (ცვეთის) ანგარიში 27,847 ლარით უზუსტოდ, შემცირებულად არის წარმოდგენილი, რაც გამოწვეულია სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ ცვეთის არასწორი ნორმების და ცალკეულ შემთხვევებში, გაანგარიშების არასწორი მეთოდის გამოყენებით.²³

აუდიტი წარმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი ანგარიშის ნაწილში სახელწოდებით – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. ჩვენ ვართ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) მოთხოვნების შესაბამისად, ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ის მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

¹⁹ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდა 2018 წლის 30 ოქტომბერს.

²⁰ ქალაქ ბათუმის მერის ბრძანება N226, 20/05/2010.

²¹ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების მე-14 მუხლის და მე-15 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები.

²² სსიპ – ბათუმის ბულვარი; სსიპ – ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი; სსიპ – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატა; ა(ა)იპ – ბათუმის ზიზნეს ინკუბატორი.

²³ საკითხი დეტალურად წარმოდგენილია პირობითი მოსაზრებების საფუძველზე 1.1.2.

2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2.1 შრომის ანაზღაურება და შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება

2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრულ საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული პირების შრომის ანაზღაურებაზე სულ გაიხარჯა 43,160,264 ლარის ხარჯი. მათ შორის, „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 36,042,935 ლარი, ხოლო „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლით გაწეულმა ხარჯებმა – 7,117,329 ლარი. 2018 წელს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ჯამური ხარჯი 2,300,400 ლარით აღემატება 2017 წლის მაჩვენებელს. მოპოვებული დოკუმენტაციით ირკვევა, რომ ხარჯების ზრდა დასაქმებულთა რიცხოვნობისა და თანამდებობრივი სარგოს ზრდის შედეგია.

- მოქმედი კანონმდებლობით, ხელფასის დარიცხვის საფუძველს წარმოადგენს ორგანიზაციის ბრძანებები მომუშავეთა მიღების, გათავისუფლებისა და გადაადგილების შესახებ, დამტკიცებული შტატებისა და სარგოების შესაბამისად, სამუშაო დროის გამოყენების ყოველთვიური აღრიცხვა ორგანიზაციის მიერ დადგენილი ფორმით (სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის ჟურნალი ან/და სპეციალური ტექნიკური საშუალება) და შრომითი ხელშეკრულებით ან შრომის შინაგანაწესით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.²⁴ აღნიშნული რეგულაციის დაუცველად, 2018 წელს სსიპ – აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატასა და ა(ა)იპ – ბათუმის ბიზნეს ინკუბატორში ნამუშევარი საათების აღრიცხვა არ ხდებოდა.

- ა(ა)იპ – განათლების ფონდი, დამტკიცებული ტრენინგმოდულების შესაბამისად, საჯარო სკოლის მასწავლებლების და ადმინისტრაციული პერსონალის გადამზადების მიზნით, ატარებს ტრენინგებს სხვადასხვა თემაზე. 2018 წლის ოქტომბრიდან ტრენინგები უნდა ჩატარებულიყო ფონდის დირექტორის მიერ დამტკიცებული ტრენინგების ჩატარების განრიგის მიხედვით, რაც, შესაბამისად, აღნიშნულია ტრენინგებსა და ფონდს შორის გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. მოპოვებული მტკიცებულებებით, 2018 წლის ნოემბერ-დეკემბერში ტრენინგების ჩატარების განრიგი ფონდის დირექტორის მიერ არ ყოფილა დამტკიცებული. აღნიშნულ პირობებში, შესაბამისი შრომითი ხელშეკრულების პირობების დაუცველად, ბიუჯეტიდან გაწეულია ჯამში 7,320 ლარის ხარჯი.

2.2 მივლინებები

2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული პირების მივლინებებზე გაწეულმა საკასო (ფაქტობრივმა) ხარჯებმა შეადგინა 1,299,095 ლარი, მათ შორის, ქვეყნის გარეთ მივლინებებზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 1,046,988 ლარი. აუდიტის შედეგად იდენტიფიცირებულია ზედმეტად ანაზღაურებული და დოკუმენტური დასაბუთების გარეშე გაწეული ხარჯები, რის გამოც ბიუჯეტში დაბრუნებას ექვემდებარება 5,032 ლარი.

²⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 30-ე მუხლის მე-14 პუნქტი.

2.2.1 ა(ა)იპ – ქ. ბათუმის მოსწავლე -

ახალგაზრდობის სასახლის მივლინებები

ა(ა)იპ – ქ. ბათუმის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის მიერ, დირექტორზე მივლინებისთვის ზედმეტად გადახდილია 1,528 ლარი, რომელიც ბიუჯეტში დაბრუნების ნაცვლად, ჩამოწერილია ხარჯებში:

- სასახლის დირექტორის თურქეთის რესპუბლიკაში მივლინების²⁵ ხარჯების გაანგარიშებისას დაშვებული შეცდომის გამო, ზედმეტადაა ანაზღაურებული და ჩამოწერილია ხარჯებში 608 ლარი;
- სასახლის დირექტორის უკრაინასა და კვიპროსის რესპუბლიკაში მივლინების²⁶ ფარგლებში, თვითმფრინავით მგზავრობისთვის ზედმეტად ანაზღაურებული და ხარჯებში ჩამოწერილია ჯამში 920 ლარი.

2.2.2 სსიპ – ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის მივლინებები

სსიპ – ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის დირექტორის ბრძანებით,²⁷ თურქეთის რესპუბლიკის ქ. სამსუნის ოპერისა და ბალეტის თეატრში დაგეგმილ გასტროლთან დაკავშირებით, მივლინებულია სულ 21 თანამშრომელი. სამსუნის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის მთავარ დირექტორატსა და მუსიკალურ ცენტრს შორის შედგენილი ოქმის მიხედვით, მუსიკალური ცენტრს უნდა აენაზღაურებინა 20 ხელოვანის დღიური ხარჯი, ხოლო მათ ტრანსპორტირებასა და დაბინავებას დააფინანსებდა თურქული მხარე. შესაბამისად, მივლინებული 21 თანამშრომლიდან მხოლოდ ერთის დაბინავება უნდა უზრუნველყო მუსიკალურ ცენტრს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ღამისთვის ხარჯები ნაცვლად ერთისა, ანაზღაურებული აქვს ორ თანამშრომელს, ჯამში – 794 ლარი. აღსანიშნავია, რომ მივლინებული ორი თანამშრომლის: ფინანსური მენეჯერის და იურიდიული, საქმისწარმოებისა და საკადრო საკითხთა მენეჯერის მივლინებაში გამგზავრება არ შეესაბამება მივლინების მიზანს. პასუხისმგებელი პირების განმარტებით, მივლინების განმავლობაში „დამატებით გაიმართა მოლაპარაკებები თურქეთის სხვადასხვა ქალაქის სახელოვნებო დაწესებულებებთან...“. აუდიტის ობიექტის განმარტება ვერ იქნება გაზიარებული, რადგან მივლინებაში იმყოფებოდნენ ასევე მუსიკალური ცენტრის დირექტორი, მოადგილე შემოქმედებით დარგში, მთავარი ადმინისტრატორი, პიარმენეჯერი და ა.შ. მათი მონაწილეობა მოლაპარაკებების წარმოებაში სრულებით საკმარისი იყო. ფინანსური მენეჯერის და იურიდიული, საქმისწარმოებისა და საკადრო საკითხთა მენეჯერის მივლინებაში გამგზავრებამ გამოიწვია დამატებითი ხარჯების წარმოშობა. ჯამში, მივლინების ფარგლებში არაეფექტიანად იქნა გახარჯული, მინიმუმ, 1,216 ლარი, რაც არასწორი მენეჯერული გადაწყვეტილების შედეგია.

2.2.2 სსიპ – აჭარის სახელმწიფო ვოკალური ანსამბლის „ბათუმის“ მივლინებები

- მოპოვებული მტკიცებულებებით, არ დასტურდება სსიპ – აჭარის სახელმწიფო ვოკალური ანსამბლი „ბათუმის“ დირექტორის 2018 წლის 1 აპრილის N5 ბრძანების საფუძველზე, ანსამბლის დირექტორის და ანსამბლის წევრის მივლინება ქ. თბილისში მივლინების სრულ პერიოდზე (3-10 აპრილი, 2018 წელი). აღნიშნული მივლინების ფარგლებში, დღიური და ღამისთვის ხარჯებისთვის ანაზღაურებულია 1,500 ლარი, საიდანაც 1,380 ლარის გადახდა წარმოადგენს საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივ განკარგვას და ექვემდებარება ბიუჯეტში დაბრუნებას.

²⁵ ა(ა)იპ – ქ. ბათუმის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის დირექტორის ბრძანება N09, 17/04/2018.

²⁶ ა(ა)იპ – ქ. ბათუმის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის დირექტორის ბრძანებები N11, 15/05/2018; N12, 22/05/2018.

²⁷ სსიპ – ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის დირექტორის ბრძანება N18/01-07, 13/02/2018.

- ანსამბლის დირექტორის 2018 წლის 23 მარტის N4 ბრძანების საფუძველზე, ანსამბლის თანამშრომლების პოლონეთსა და გერმანიაში მივლინების (15-30 მაისი, 2018 წელი) ფარგლებში, შიდა გადაადგილებისთვის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის გარეშე ანაზღაურებულია 720 ევროს ეკვივალენტი – 2,124 ლარი, რომელიც ექვემდებარება ბიუჯეტში დაბრუნებას.
- ანსამბლის დირექტორის 2018 წლის 22 ნოემბრის N18 ბრძანების საფუძველზე, ანსამბლის სხვა თანამშრომლებთან ერთად პოლონეთში მივლინებით იმყოფებოდა ანსამბლის მენეჯერიც. მოპოვებული მტკიცებულებებით, მივლინების ფარგლებში მენეჯერის მოვალეობაში შედიოდა საორგანიზაციო საკითხები, მათ შორის, მომღერლების შეუფერხებელი გადაადგილება. ანსამბლის მენეჯერის მივლინებით გამგზავრების მიზანშეწონილობა დაუსაბუთებელია, რადგან მიმწვევი მხარე სრულად უზრუნველყოფდა ორგანიზაციულ და ტექნიკურ საკითხებს. შესაბამისად, მივლინებისთვის გადახდილი 2,522 ლარი წარმოადგენს არაეფექტიან ხარჯს, რაც არასწორი მენეჯერული გადაწყვეტილების შედეგია.

2.3 ტრანსპორტის ხარჯები

2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის საკასო (ფაქტობრივმა) ხარჯებმა შეადგინა 4,346,392 ლარი. მოპოვებული მტკიცებულებებით, რიგ შემთხვევებში, ხარჯის გაწევა დაუსაბუთებელია და ვერ დგინდება ხარჯის გაწევის მიზანშეწონილობა. კერძოდ:

- სსიპ – აჭარის სახელმწიფო ვოკალური ანსამბლი „ბათუმი“ და ა(ა)იპ – ქ. ბათუმის სასპორტო სკოლა, გარდა ბალანსზე არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა, 2018 წელს სარგებლობდა შესაბამისი ორგანიზაციების თანამშრომელთა პირად საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებით, რომლებზეც გაწეულმა საწვავის ხარჯებმა შეადგინა 10,860 ლარი.²⁸ ორგანიზაციების მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი გაცემული საწვავის სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისათვის ხარჯის დოკუმენტური დადასტურება, რაც წარმოშობს საჯარო რესურსების არამიზნობრივი ხარჯვის რისკებს.
- მოქმედი რეგულაციებით,²⁹ ავტომანქანის გამართვისა და ავტომატური იდენტიფიცირების სისტემით ხორციელდება ავტოგასამართი სადგურის პისტოლეტისა და ავტორიზებული ავტომანქანის საწვავის ავზის ერთმანეთთან დაკავშირება და იდენტიფიცირება, რის შედეგადაც უზრუნველყოფილია ავტოგასამართ სადგურზე შესაბამისი მარკის საწვავის ჩასხმა მხოლოდ ავტორიზებული ავტომანქანის საწვავის ავზში. აუდიტის ჯგუფის მიერ შერჩევით იქნა დათვალიერებული სხვადასხვა ობიექტის ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალება, სულ 68 ერთეული, საიდანაც 20 ერთეულს³⁰

²⁸ სსიპ – აჭარის სახელმწიფო ვოკალური ანსამბლი „ბათუმი“: 1,369 ლარის ღირებულების 550 ლიტრი საწვავი (ერთ მანქანაზე); ა(ა)იპ – ქ. ბათუმის სასპორტო სკოლა: 9,491 ლარის ღირებულების 4,418 ლიტრი საწვავი (8 მანქანაზე).

²⁹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 4 დეკემბრის N11 ბრძანებით დამტკიცებული „ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესის და პირობების“ მე-6 მუხლის მე-6 პუნქტი.

³⁰ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო – 6 ერთეული, საავტომობილო დეპარტამენტი – 2 ერთეული, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო – 2 ერთეული, სსიპ – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი – 2 ერთეული, სოფლის მეურნეობის სამინისტრო – 2 ერთეული, გარემოს დაცვის სამმართველო – 2 ერთეული, სსიპ – ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა

2.4 ბაზრის კვლევა სახელმწიფო შესყიდვებში და მისი შედეგები

2.4.1 სსიპ – ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის შესყიდვები

მოხსნილი ჰქონდა „აგაის“ სისტემა (ჩიპი). ზემოაღნიშნული წარმოშობს არაავტორიზებულ ავტომატურად საწვავის ჩასხმის რისკებს.

სახელმწიფო შესყიდვებში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ბაზრის კვლევის საკითხი. ბაზრის არასათანადო კვლევის გამო, გარკვეულ შემთხვევებში შესყიდვის სავარაუდო ღირებულება არასწორად არის განსაზღვრული, რის გამოც პრეტენდენტებს უწევთ ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება. სავარაუდო ღირებულების მაღალი ფასით განსაზღვრამ კონკურენციის არარსებობის პირობებში შესაძლოა არაეკონომიური ხარჯი გამოიწვიოს. ამასთანავე, ასეთ ტენდერებში წარმოქმნილი ეკონომიები რეალურად არ წარმოადგენს ეკონომიას. აუდიტის შედეგად დგინდება, რომ, რიგ შემთხვევებში, სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის დროს ბაზრის კვლევა საერთოდ არ არის ჩატარებული³¹ ან/და ჩატარებული კვლევა ფორმალურია და არ ემსახურება პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნებს.³² იდენტიფიცირებულია ბაზრის არასათანადო კვლევის გამო, კონკურენციის არარსებობის პირობებში, არაეკონომიური ხარჯის გაწევის შემთხვევები:

- სსიპ – ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრმა გასანათებელი მოწყობილობების და ელექტრონათურების³³ სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, 2017 წლის 12 დეკემბერს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე.³⁴ სატენდერო დოკუმენტაციით, შესყიდვის საგანს წარმოადგენდა 20 დასახელების სხვადასხვა გასანათებელი მოწყობილობა, მათ შორის, აღნიშნულ სიაშია პერსონალური კომპიუტერი, თუმცა შესყიდვის კატეგორიაში შესაბამისი კლასიფიკატორის კოდი მითითებული არ არის. ფასების ცხრილში ცალკე პუნქტად განისაზღვრა მიწოდებული საქონლის მონტაჟი/კონფიგურაციის ღირებულება. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებამ, ბაზრის ფორმალური კვლევის საფუძველზე, შეადგინა 235,000 ლარი. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა მხოლოდ ერთი კომპანიის – შპს „ეივიზის“ მიერ მიწოდებული ფასებით.

ტენდერში კონკურენციის გარეშე გაიმარჯვა ბაზრის კვლევაში მონაწილე შპს „ეივიზიმ“, რომლის შეთავაზებულმა ფასმა შეადგინა 235,000 ლარი. პრეტენდენტთან შეთავაზებული ფასით გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება,³⁵ ხოლო მიწოდების ვადად განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 კალენდარული დღე, შესაბამისად, 2018 წლის 29 მარტი. შემსყიდველმა 2018 წლის 13 თებერვალს მიმწოდებელთან გააფორმა შეთანხმება, რომლითაც მიწოდების ვადა გაგრძელდა 2018 წლის 1 სექტემბრამდე (156 კალენდარული დღით). შეთანხმება³⁶ შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ნაცვლად არა უგვიანეს 10 დღისა, ატვირთულია 45 დღის შემდეგ,³⁷ რაც

სახელმწიფოს თეატრი – 2 ერთეული (ერთი ერთეული ინახება დირექტორთან), ა(ა)იპ – ქ. ბათუმის სასპორტო სკოლა - ერთი ერთეული, სსიპ – აჭარის სახელმწიფო ვოკალური ანსამბლი „ბათუმი“ – ერთი ერთეული.

³¹ სსიპ – ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი.

³² სსიპ – ბათუმის ბულვარი, ა(ა)იპ – ქ. ბათუმის სასპორტო სკოლა.

³³ CPV 31500000.

³⁴ NAT170014495.

³⁵ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N304, 29/12/2017.

³⁶ შეთანხმება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2017 წლის 29 დეკემბრის N304 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, 13/02/2018.

³⁷ დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

შეთახმების შესაბამის დროში გაფორმების რისკებს წარმოშობს.

მიწოდების ვადის გასვლამდე ერთი დღით ადრე, 2018 წლის 31 აგვისტოს გაფორმდა კიდევ ერთი შეთანხმება, რომლითაც უსაფუძვლოდ მიწოდების ვადა გაგრძელდა კიდევ ერთი თვით, 2018 წლის 1 ოქტომბრამდე. ხელშეკრულების ღირებულებისა და ფაქტობრივი მიწოდების ვადების გათვალისწინებით, მიწოდების ვადების ცვლილებების განუხორციელებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლო იქნებოდა 9,925 ლარი.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22¹ მუხლის შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციით, მიმწოდებლის სრული დანახარჯი აღნიშნული საქონლის შესყიდვაზე 108,344 ლარია. გარდა მონტაჟის/კონფიგურაციის ღირებულებისა, რომელიც 30,622 ლარს შეადგენს, მხოლოდ საქონლის ღირებულებაში ფასნამატი 88.6 %-ია (96,034 ლარი).

- არსებითად არ განსხვავდება სსიპ – ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაცურებელთა სახელმწიფო თეატრის მიერ იმავე დღეს გამოცხადებული ტელე- და რადიოსიგნალის მიმღებები და აუდიო- ან ვიდეოგამოსახულების ჩამწერი ან აღწარმოების აპარატურის³⁸ სახელმწიფო შესყიდვის შემთხვევაც, რომელიც ასევე განხორციელდა აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის საშუალებით.³⁹ სატენდერო დოკუმენტაციით, შესყიდვის საგანს წარმოადგენდა 4 დასახელების მიკროფონი და გახმოვანების მოწყობილობა, მათ შორის, პერსონალური კომპიუტერი, თუმცა შესყიდვის კატეგორიაში შესაბამისი კლასიფიკატორის კოდი მითითებული არ არის. ფასების ცხრილში ცალკე პუნქტად განისაზღვრა მიწოდებული საქონლის მონტაჟი/კონფიგურაციის ღირებულება. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებამ, ბაზრის ფორმალური კვლევის საფუძველზე, შეადგინა 85,380 ლარი (სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა მხოლოდ ერთი კომპანიის – შპს „ეივიზის“ მიერ მიწოდებული ფასებით).

ტენდერში, კონკურენციის გარეშე, როგორც ზემოთ განხილულ შემთხვევაში, გაიმარჯვა შპს „ეივიზიმ“, რომლის შეთავაზებულმა ფასმა შეადგინა 84,500 ლარი. პრეტენდენტთან შეთავაზებული ფასით გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.⁴⁰

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22¹ მუხლის შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციით, მიმწოდებლის სრული დანახარჯი აღნიშნული საქონლის შესყიდვაზე 48,700 ლარია. გარდა მონტაჟის/კონფიგურაციის ღირებულებისა, რომელიც 14,000 ლარს შეადგენს, მხოლოდ საქონლის ღირებულებაში ფასნამატი 44.8%-ია (21,801 ლარი).

საქონლის/მომსახურების მიწოდების მოკლე ვადა, ბაზრის ფორმალური კვლევა და სხვა გარემოებები ერთობლიობაში მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნული შესყიდვები შესაძლოა მისადაგებული იყოს კონკრეტული პირის ინტერესებზე, რაც საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი განკარგვის რისკს წარმოშობს.

³⁸ CPV 32300000.

³⁹ NAT170014492.

⁴⁰ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N293, 27/12/2017.

2.4.2 ნივრის სარგავი მასალის შესყიდვა

„მაღალეფექტური ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამით განისაზღვრა 48,000 კგ „ლუბაშას“ ჯიშის ნივრის სარგავი მასალის შესყიდვა. ქვეპროგრამის თანახმად, შესყიდვის განხორციელებას და ბენეფიციარების შერჩევას, შემუშავებული კრიტერიუმების შესაბამისად, ახორციელებდა ა(ა)იპ – აგროპროექტების მართვის ცენტრი. სარგავი მასალა ბენეფიციარებზე გაიცემოდა შესყიდული საქონლის სახელშეკრულებო ღირებულების 30%-ის გადახდის პირობით.

სახელმწიფო შესყიდვის განსახორციელებლად ა(ა)იპ – აგროპროექტების მართვის ცენტრმა 2018 წლის 15 მარტს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე.⁴¹ შესყიდვის სავარაუდო ღირებულება ბაზრის ფორმალური კვლევის საფუძველზე განისაზღვრა 528,812 ლარის ოდენობით დღგ-ის გარეშე (სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა წინა წლის თებერვალ-მარტის ფასების გათვალისწინებით).

ტენდერში ერთი პრეტენდენტის მონაწილეობის პირობებში გაიმარჯვა შპს „ქართულმა მოცემა“, რომლის შეთავაზებულმა ფასმა დღგ-ის ჩათვლით შეადგინა 620,208 ლარი. სატენდერო წინადადების საფუძველზე პრეტენდენტთან გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება (ხელშეკრულების ღირებულება 620,208 ლარი).⁴²

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22¹ მუხლის შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციით, მიმწოდებლის სრულმა დანახარჯმა აღნიშნული საქონლის შესყიდვაზე შეადგინა 440,774 ლარი. შესაბამისად, ფასნამატმა შეადგინა 40.7% (179,433.8 ლარი). ზემოაღნიშნული მკაფიოდ მიუთითებს შესყიდვის დაგეგმვის პროცესში არსებულ ხარვეზებზე, რამაც არაეკონომიური ხარჯი გამოიწვია.

როგორც უკვე აღინიშნა, ქვეპროგრამის თანახმად, სარგავი მასალა ბენეფიციარებზე გაიცემოდა შესყიდული საქონლის სახელშეკრულებო ღირებულების 30%-ის გადახდის პირობით. გამომდინარე იქიდან, რომ ნიორზე ბენეფიციარების მხრიდან მოთხოვნა მინიმალური იყო, ა(ა)იპ – აგროპროექტების მართვის ცენტრის გადაწყვეტილებით, ნივრის სარგავი/სათესლე მასალა ბენეფიციარებზე გაიცა თანაგადახდის თანხის მოსავლის აღების შემდეგ, 2019 წლის 20 აგვისტომდე გადახდის პირობით. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 222 ბენეფიციარის კრედიტორული დავალიანება შეადგენს 201,491 ლარს (გადახდილია მხოლოდ თანაგადახდის მთლიანი თანხის 11%).

შემთხვევითი შერჩევით, აუდიტის ჯგუფის მიერ განხორციელდა პროგრამის 35 ბენეფიციართან გასაუბრება. ბენეფიციართა უმრავლესობა ნივრის მოსალოდნელი მოსავლით უკმაყოფილოა. ბენეფიციარებთან გასაუბრებების შედეგად ასევე ირკვევა, რომ ბენეფიციართა ნაწილმა ნიორი დარგო წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რაც ეწინააღმდეგება ქვეპროგრამის მიზნებს, რადგან ქვეპროგრამა უნდა განხორციელებულიყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე.

აუდიტის შედეგად ირკვევა, რომ ქვეპროგრამის დაგეგმვასა და განხორციელებაში არსებულმა მნიშვნელოვანმა ხარვეზებმა, კერძოდ, მოსალოდნელი შედეგების შესწავლისა და შეფასების გარეშე ქვეპროგრამის დაგეგმვამ და შესყიდვის ეტაპზე ბაზრის ფორმალურმა კვლევამ, ბიუჯეტიდან არაეფექტიანი ხარჯი გამოიწვია.

⁴¹ NAT180004254.

⁴² სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N28, 05/04/2018.

2.4.3 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა

ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ 2018 წელს განხორციელდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებისთვის ადმინისტრაციული შენობის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა კონკურსის⁴³ საშუალებით.

კონკურსის გამოცხადებამდე განხორციელდა ბაზრის კვლევა, რომლითაც შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 466,100 ლარით დღგ-ის გარეშე. ბაზრის კვლევის დოკუმენტაციის ანალიზით ირკვევა, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ პოტენციური მიმწოდებლებისთვის დასმული მთავარი შეკითხვა ვერ უზრუნველყოფდა შესყიდვის სავარაუდო ღირებულების სწორად დადგენას. კერძოდ, შეკითხვაზე თანდართული ტექნიკური დავალების პროექტი არ მოიცავდა ასაგები შენობა-ნაგებობის სავარაუდო საერთო ფართობს, სიმაღლეს, ოფისების, საერთო და შეხვედრების ოთახების რაოდენობას და ა.შ. აღნიშნულის გათვალისწინება შესაძლებელი იყო, მით უმეტეს, სამინისტროს ჰყავს შესაბამისი დარგის სპეციალისტები (შესაბამისი დეპარტამენტის სახით).

კონკურსში მონაწილეობდა სამი პრეტენდენტი. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით გაიმარჯვა შპს „მეგაპოლისმა“, რომლის მიერ შეთავაზებული ფასი – 542,800 ლარი დღგ-ის ჩათვლით, 82,600 ლარით აღემატება უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტის შეთავაზებას. მიუხედავად იმისა, რომ საკონკურსო კომისიას ხარისხის შეფასების ეტაპზე პრეტენდენტების ფასების შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა, შეფასება შესაძლოა შეიცავდეს სუბიექტური გადაწყვეტილების რისკებს, რადგან ფასების უფრო დიდი სხვაობის შემთხვევაშიც, ხარისხის ჯამური ქულის გათვალისწინებით, გაიმარჯვებდა შპს „მეგაპოლისის“ შეთავაზება.

ხელშეკრულების⁴⁴ შესაბამისად, 2018 წლის 17 დეკემბერს გაფორმდა საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ითვალისწინებს 14,835 კვ.მ საერთო ფართობის შენობა-ნაგებობის მშენებლობას, რომლის საორიენტაციო ღირებულება შეადგენს 27,942,970 ლარს, მშენებლობის შემფასებელთა კავშირის მიერ გამოშვებული 2018 წლის მე-3 კვარტლის ფასთა კრებულისა და საბაზრო ფასების მიხედვით.

მიუხედავად იმისა, რომ 2018 წლის ბოლოსთვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მზად იყო, 2019 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტში აღნიშნული შესყიდვა გათვალისწინებული არ არის. მოპოვებული ინფორმაციით, მისი გათვალისწინება არც 2020 წლის ბიუჯეტში იგეგმება. სამინისტროს უფლებამოსილი პირის განმარტებით, გადაწყვეტილება მიღებული იქნება პროექტის დეტალური ფინანსური ანალიზის შემდეგ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ სამინისტროს მიერ საერთო ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია გარემოებათა დეტალური ანალიზის გარეშე. ბაზარზე ფასების ცვლილების გათვალისწინებით, შემდგომში ამ პროექტის სახარჯთაღრიცხვო ნაწილის გამოყენება შესაძლოა არარელევანტური გახდეს. შედეგად, ბიუჯეტიდან განხორციელებულია დანახარჯები, რომლის მოსალოდნელი სარგებელი გადახდილ ფასთან შესაძლოა არსებითად შეუსაბამო იყოს.

⁴³ CNT180000027.

⁴⁴ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N124, 25/06/2018.

2.5 ავანსად გადახდილი თანხა

საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და შპს „ორბიტას“ შორის ელექტრონული ტენდერის საშუალებით⁴⁵ 2018 წლის 21 თებერვალს გაფორმდა ხელშეკრულება N72, ღირებულებით – 640,368 ლარი, ხულოს მუნიციპალიტეტში საავტომობილო გზის – „ხიხადირი-თხილვანა-ბაკოს“ რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვის თაობაზე. ხელშეკრულების შესაბამისად წარმოდგენილი უპირობო საბანკო გარანტიის საფუძველზე, მიმწოდებელს 2018 წლის 2 მარტს ავანსის სახით გადაერიცხა 188,000 ლარი.

ხელშეკრულების თანახმად, შპს „ორბიტას“ სამუშაოები უნდა დაეწყო არაუგვიანეს 2018 წლის 1 მაისისა. თუმცა, კომპანიამ სამუშაოების შესრულება დაიწყო დაგვიანებით – 2018 წლის 18 მაისს. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაოები დადგენილ ვადებში არ დაწყებულა, გზების დეპარტამენტს არ გამოუყენებია ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება და არ შეუმოწმებია გაცემული ავანსის ხარჯვის მიზნობრიობა.

მხარეებს შორის 2018 წლის 31 მაისს გაფორმებულია მიღება-ჩაბარების აქტი და ავანსიდან გამოქვითულია შესრულებული სამუშაოს ღირებულება – 43,535 ლარი. ამავე თარიღით, შეთანხმების პირობების დარღვევის გამო, შპს „ორბიტასთან“ ცალხმრივად შეწყვეტილია ხელშეკრულება და დარიცხულია პირგასამტეხლო – 7,685 ლარი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ გზების დეპარტამენტს სს „ბაზისბანკიდან“ მოთხოვნილი აქვს გაცემული საბანკო გარანტიის ამოქმედება და შპს „ორბიტაზე“ რიცხული ავანსის – 144,465 ლარის დაბრუნება. სს „ბაზისბანკის“ საპასუხო წერილის თანახმად, ბანკის მიერ შპს „ორბიტასთვის“ საბანკო გარანტიის გაცემა არ ფიქსირდება და შესაბამისად, ბანკი უარს ამბობს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. შედეგად, შესაძლოა კონკრეტული პირების ქმედება შეიცავდეს თაღლითობის ნიშნებს.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გზების დეპარტამენტმა 2018 წლის 14 ივნისის N1314 წერილით მიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურას და ითხოვა სათანადო რეაგირება. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 9 ივლისის განჩინებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის მიერ გზების დეპარტამენტიდან ამოღებულია საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.

2.6 სააღრიცხვო პოლიტიკა

მოქმედი რეგულაციით, ორგანიზაციის ხელმძღვანელი აღრიცხვის და ანგარიშგების ორგანიზების მიზნით, ერთიანი მეთოდოლოგიისა და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დაცვით, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად განსაზღვრავს სააღრიცხვო პოლიტიკას – ერთეულის მიერ ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს გამოყენებული გარკვეული პრინციპების, საფუძვლების, დაშვებების, წესებისა და პრაქტიკული მეთოდების ერთობლიობას. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრულ საბიუჯეტო ორგანიზაციებს, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს გარდა, დამტკიცებული სახით სააღრიცხვო პოლიტიკა არ აქვთ.⁴⁶

⁴⁵ NAT170015483.

⁴⁶ დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტი.

2.7 პროგრამული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა

აუდიტის შედეგად დგინდება, რომ ცალკეული პროგრამის/ქვეპროგრამის ათვისება დაბალი ინტენსივობით ხორციელდება. ამასთანავე, მათი ნაწილის შემთხვევაში, ასიგნებები საერთოდ არ იქნა ათვისებული. დაზუსტებული გეგმის 75%-ზე ნაკლები ათვისების მაჩვენებელი გააჩნია 12 პროგრამას/ ქვეპროგრამას:

ცხრილი N3. რიგი პროგრამის/ქვეპროგრამის შესრულება (ათასი ლარი)

დასახელება	2018 წლის გეგმა	2018 წლის ფაქტი	შესრულ ება (%)
საგზაო ტექნიკის შეძენა	1,685,000	344,880	20.5%
რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის პრომოუშენი	503,105	188,155	37.4%
აჭარის ტერიტორიაზე არსებული მთის კურორტების განვითარება	150,000	0	0%
ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა	1,700,000	672,275	39.5%
მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა	181,131	114,404	63.2%
ინფორმაციული ტექნოლოგიების მომსახურება და მიწოდება	257,000	0	0%
კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება	2,072,070	717,108	34.6%
აგროსექტორის განვითარების საჭიროებათა კვლევები და სტრატეგია	150,000	107,874	71.9%
მაღალეფექტური მრავალწლიანი სასოფლო- სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობა	356,983	212,053	59.4%
ახალი აგრარული პროექტებისა და ტექნოლოგიების დემონსტრირება	40,930	24,221	59.2%
საგანმანათლებლო და სამეცნიერო პრაქტიკის დანერგვა	28,610	17,044	59.6%
ხულოს მუნიციპალიტეტში, კურორტ გოდერძიზე, ფიზიკურ პირთათვის მიწის ნაკვეთების სანაცვლოდ კომპენსაციების გაცემა	1,674,508	650,312	38.8%

ცხრილში წარმოდგენილ 12 პროგრამაში/ქვეპროგრამაში ათვისებული დარჩა 5,751,010 ლარი, საიდანაც დიდი წილი ქვემოთ ჩამოთვლილ შემდეგ პროექტებზე მოდის:

- „საგზაო ტექნიკის შეძენის“ ქვეპროგრამაში ათვისებული დარჩა 1,340,120 ლარი. ათვისების დაბალი მაჩვენებელი გამოწვეულია შესყიდვის პროცედურების დაგვიანებით დაწყებით. შედეგად, რიგ შემთხვევაში ტენდერები არ შედგა ან/და ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით, ხოლო განმეორებითი ტენდერების გამოცხადება ფისკალური წლის ბოლომდე აღარ მოესწრო;
- „ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამით გათვალისწინებული იყო სხვადასხვა პროექტის განხორციელება, მათ შორის, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სახალვაშოში საპიკნიკე ადგილისა და გადამფრენ ფრინველებზე დაკვირვების სადგურის მოწყობა. ქვეპროგრამის დაგეგმვის ეტაპზე არ იქნა გათვალისწინებული, რომ საპიკნიკე ადგილისა და გადამფრენ ფრინველებზე დაკვირვების სადგურის სამშენებლო მოედანზე სეზონურად ტარდება გადამფრენ ფრინველებზე დაკვირვების ფესტივალი, რაც გამოიწვევდა სამუშაოების დროებით შეჩერებას. აგრეთვე მშენებლობის წარმართვის ერთ-ერთი ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორი იყო სამშენებლო ობიექტამდე მისასვლელი გზის მდგომარეობა და სამშენებლოდ შერჩეულ მიწის ნაკვეთზე საკუთრებასთან დაკავშირებული დავები. ზემოაღნიშნული გარემოებები მხარჯავი დაწესებულების მიერ პროექტის

დაგეგმვის ეტაპზე არ იქნა გათვალისწინებული;

- „კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და განვითარების“ ქვეპროგრამით დაგეგმილი იყო პეტრას ციხის ინფრასტრუქტურული მოწყობა. მიუხედავად იმისა, რომ პროექტის განსახორციელებლად ჯერ კიდევ 2018 წლის დასაწყისში სააგენტოს ჰქონდა შესაბამისი თანხმობა, განხორციელებული იყო შესყიდვის მოსამზადებელი პროცედურები, მათ შორის, ბაზრის კვლევა, წლის განმავლობაში ტენდერი არ გამოცხადებულა. სააგენტოს მიერ ვერ იქნა დასაბუთებული ტენდერის გამოცხადების გაჭიანურების მიზეზები;
- „ხულოს მუნიციპალიტეტში, კურორტ გოდერძიზე, ფიზიკურ პირთათვის მიწის ნაკვეთების სანაცვლოდ კომპენსაციების გაცემის“ ქვეპროგრამაში აუთვისებელი დარჩა 1,024,196 ლარი. მოპოვებული მასალებიდან გამომდინარე, ქვეპროგრამის შესრულების დაბალი მაჩვენებელი ძირითადად გამოწვეულია იმ გარემოებებით, რომ მიწის მეპატრონეების ნაწილმა უარი განაცხადა ხელშეკრულების გაფორმებაზე, ხოლო ნაწილის შემთხვევაში, პრობლემას ქმნიდა წარმოდგენილი აზომვითი ნახაზების სიზუსტე (ზედდება მეზობელ მიწის ნაკვეთებთან მიმართებით). ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ მხარჯავმა დაწესებულებამ ისე შეიმუშავა პროგრამა, რომ არ ჰქონდა შესწავლილი და შეფასებული მოსალოდნელი შეზღუდვები და პროგრამის მოცულობითი თანხით დაფინანსების მიზანშეწონილობა, რაც პროგრამის დაგეგმვასა და განხორციელებაში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს.

3. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, შეაფასოს ორგანიზაციის უნარი – უწყვეტად განაგრძოს საჯარო მომსახურების მიწოდება, როგორც ფუნქციონირებადმა ერთეულმა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში, უნდა გაამჟღავნოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გამოიყენოს აღნიშნული პრინციპი ბუღალტრულ აღრიცხვაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა. ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელი არიან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის კონტროლზე.

**აუდიტორის
პასუხისმგებლობა
ფინანსურ ანგარიშგებასთან
დაკავშირებით**

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ს მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. ISSAI-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ამასთანავე:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან დადგენილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას;
- ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესამუშავებლად, რომლებიც შესაფერისია არსებულ გარემოებებთან და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტიანად მუშაობის თაობაზე;
- ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელი პირების მიერ მოწოდებული განმარტებების გონიერულობას;
- ვასკვნით, ხელმძღვანელი პირების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით – არსებობს თუ არა ამ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების უნარში, განაგრძონ ფუნქციონირება. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორულ დასკვნაში სათანადო განმარტებებზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ასეთი განმარტებები ადეკვატური არ არის, მოვახდინოთ მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების ფუნქციონირებადობის საკითხი;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, აგრეთვე უზრუნველყოფს თუ

არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ოპერაციების და მოვლენების სამართლიანად წარდგენის კრიტერიუმებს;

– მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა შევძლოთ გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და განხორციელებაზე. აგრეთვე ჩვენ სრულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე;

– ხელმძღვანელობას სხვა საკითხებთან ერთად ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, აგრეთვე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი შედეგების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორების ხელმოწერა

ხელმოწერა

ჰენრი სანიკიძე
წამყვანი აუდიტორი

მაია მუჯირიშვილი
უფროსი აუდიტორი

ავთანდილ აბაშიძე
აუდიტორ-ასისტენტი

ნინო ჩაგანავა
აუდიტორ-ასისტენტი






4. დანართები

ფინანსური
ანგარიშგების
ფორმები

ფორმა N1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ბალანსი)

დასახელება	ანგარიში	2018 წლის 31 დეკემბრისათვის (საანგარიშო წელი)	2017 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წლის წინა წელი)
ფინანსური აქტივები და მოთხოვნები			
ფულადი სახსრები	1100-1200	2,796,751	2,535,359
სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1300	1,548,595	1,071,476
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1400	6,883,888	10,929,005
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	1500	203,984,739	136,423,595
არაფინანსური აქტივები			
სტრატეგიული მარაგები	1610	-	-
მატერიალური მარაგები	1620	4,141,773	3,780,986
ძირითადი აქტივები	2100	349,924,958	270,218,310
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	2,582,098	2,304,927
ფასეულობები	2300	6,847,242	6,804,316
არაწარმოებული აქტივები	2400	262,054,562	271,386,020
ბალანსი		840,764,606	705,453,995
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100	67,695	95
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3200	2,372,375	2,316,151
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	3300	13,786,595	18,732
კაპიტალი			
აქტივების წმინდა ღირებულება	5100	816,287,914	696,332,047
გაუნაწილებელი მოგება	5220	8,250,027	6,786,971
დაუფარავი ზარალი	5230	-	-
ბალანსი		840,764,606	705,453,995
საცნობარო მუხლები			
პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული		279,404	72,760
მატერიალური ფასეულობები			
გადახდისუნარო დებიტორების		75	75
ჩამოწერილი დავალიანება			
ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები		1,120,488	932,863
ექსპლუატაციაში			
პირობითი აქტივები		96,253	18,231
ამორტიზებული ძირითადი აქტივები		8,039,365	15,959,074
ვადაგადაცილებული დავალიანებები		237,652	147,799
ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში		2,647,004	2,511,915
ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები			
საბანკო გარანტიები		1,706,155	7,569,869

საკონტაქტო ინფორმაცია

ანგარიშის ავტორები	ჰენრი სანიკიძე – hsanikidze@sao.ge მაია მუჯირიშვილი – mmujirishvili@sao.ge ავთანდილ აბაშიძე – aabashidze@sao.ge ნინო ჩაგანავა – n.chaganava@sao.ge
ვებგვერდი და სოციალური მედია	https://sao.ge/ https://budgetmonitor.ge/ka http://blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
ელექტრონული ფოსტა	sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38